სახელი, გვარი: სოფიკო გილაური-ჯავახიშვილი
მისამართი [redacted]
ტელეფონის ნომერი [redacted]
ელ.ფოსტა: [redacted]

ავტობიოგრაფია

მე, სოფიკო გილაური-ჯავახიშვილი დავიბადე 1975 წლის 14 თებერვალს, თბილისში. ვარ საქართველოს მოქალაქე.

განათლება:

1982 წელს სწავლა დავიწყე თბილისის 113-ე საშუალო სკოლაში; 1983-1984 წლებში ვსწავლობდი თბილისის 160-ე საშუალო სკოლაში, ხოლო 1985-1992 წლებში ვსწავლობდი თბილისის 112-ე საშუალო სკოლაში.

1992 წელს ჩავირიცხე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე და დავამთავრე სრული კურსი სამართალმცოდეობის სპეციალობით. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1998 წლის 8 სექტემბრის გადაწყვეტილებით მომენიჭა იურისტის კვალიფიკაცია.

სამუშაო გამოცდილება:

2006 წლის 27 თებერვლიდან 2007 წლის 2 მარტამდე ვმუშაობდი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიაში, კანცელარიის სპეციალისტის პოზიციაზე.

2007 წლის 2 მარტიდან 2007 წლის 18 აპრილამდე ვიყავი იმავე კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი.

2007 წლის 18 აპრილიდან 2018 წლის 21 ივნისამდე ვიყავი იმავე სასამართლოს იმავე კოლეგიაში მოსამართლის თანაშემწე.

2018 წლის ივნისიდან ვიყავი თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის სამდივნოს მთავარი კონსულტანტის, მოსამართლის თანაშემწე - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი.

ტრენინგები და სასწავლო კურსები:

1999 წლის აპრილიდან ივლისის ჩათვლით საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრში გავიარე მოსამართლის თანაშემწის მოსამზადებელი კურსი, ჩავაბარე გამოცდა და მივიღე სერტიფიკატი.

2008 წლის 1-2 მარტს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - ტრეფიკინგი;

2009 წლის 20-21 ივნისს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომა;

2009 წლის 16-17 მაისს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - ადამიანის უფლებები;

2010 წლის 1-2 მაისს და 2011 წლის 16-17 ივლისს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი;

2011 წლის 16 აპრილს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - ეფექტური კომუნიკაცია და მისი როლი მომსახურებაში;

2012 წლის 14-15 სექტემბერს, ასევე, 2013 წლის 8-9 ნოემბერს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - სისხლის სამართლის ახალი საპროცესო კოდექსი - გადაწყვეტილების წერის კულტურა/დასაბუთება;

2013 წლის 7-8 ივნისს ვმონაწილეობდი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგში თემაზე - სასამართლო განაჩენთა დასაბუთება.

2018 წლის ოქტომბრიდან იმავე წლის იანვრამდე ვიყავი HELP-ის (Human Rights Education for Legal Professionals) ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული დისტანციური სწავლების ონლაინ კურსის მონაწილე, ჩავაბარე გამოცდა და მივიღე სერტიფიკატი.

2023 წლის 11 ივნისს ჩავაბარე მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციით.

2023 წლის ოქტომბერში ჩავირიცხე იუტიციის მსმენელთა სასწავლო კურსზე, რის საფუძველზეც 2023 წლის 26 ოქტომბრიდან 2024 წლის 26 ოქტომბრამდე ვიყავი იუსტიციის მსმენელი.

მყავს მეუღლე, ორი შვილი და შვილიშვილი.

სოფიკო გილაური-ჯავახიშვილი

08.11.2024 წელი